



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე

15 სექტემბერი, 2015 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ოქროპირიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"

წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა;

მოპასუხე - სს "სახელმწიფო ელექტროსისტემა";

მოპასუხე - სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";

მოპასუხე - სს "ონი კასკადი";

დავის საგანი - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი;

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2015 წლის 20 აგვისტოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მთავრობის, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს "ონი კასკადი"-ს მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე მხარეს დაუდგინდა ხარვეზი კერძოდ,

დაევალა გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნის სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

2015 წლის 25 აგვისტოს განჩინება მოსარჩელე მხარეს ჩაბარდა 2015 წლის 1 სექტემბერს.

2015 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება და განმარტა, რომ სარჩელის წარმოდგენის მიზეზი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე სადავო ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება;

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ მასალას მიაჩნია, რომ სასარჩელო განცხადებაზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა უნდა გაგრძელდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს ამ დროის მონაკვეთით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრა, თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მიზნით, ყოველი პირის უმნიშვნელოვანესი უფლებაა. მაგრამ ამასთანავე მოსარჩელე ვალდებულია დაიცვას ყველა ის საპროცესო ნორმა, რაც არეგულირებს სარჩელის სასამართლოში წარდგენის წესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული

ყველა მტკიცებულება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. აღნიშნული მუხლის დანაწესი ავალდებულებს მოსარჩელეს, რომ ნებისმიერი მტკიცებულება თუ სხვა რაიმე დოკუმენტი სასამართლოს წარმოუდგინოს სახელმწიფო ენაზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ სარჩელის სასამართლოში წარმოდგენა განაპირობა იმან, რომ სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, აღნიშნულ გარემოებაზე სასამართლო იმსჯელებს საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, თუმცა იქამდე მოსარჩელე ვალდებულია დააკმაყოფილოს სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის ფორმალური კრიტერიუმები და წარმოადგინოს გასაჩივრებული საქართველოს მთავრობას, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს "ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა უნდა გაუგრძელდეს აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლომ იხელმძღვანელა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 447-ე, 284-285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდეს 7 (შვიდი) დღის ვადით, ვადის ათვლა დაიწყოს განჩინების ასლის მისთვის ჩაბარების დღიდან;
2. განემარტოთ მოსარჩელეს, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებენ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე:

თამარ ოქროპირიძე